

საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

ნინო ღარიბაშვილი

„ომის“ კონცეპტი თანამედროვე ინგლისურ ენაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

232.1.3

თბილისი

2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია ჩხეიძე,

ფილოლოგიის
დოქტორი,
პროფესორი

მეცნიერებათა

ოფიციალური ექსპერტები:

მადონა შელია,

ფილოლოგიის
დოქტორი,
პროფესორი

მეცნიერებათა

ნათელა მოსიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 25 ივნისს, 18:00 საათზე.

მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავას
77ა, #519 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის 24 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ნათია მანჯიკაშვილი

შესავალი

სამყაროს ხატი მოიცავს ენის მეშვეობით ასახული ობიექტური რეალობის არა მხოლოდ კონცეპტუალურ (ლოგიკურ) ანაბეჭდს, არამედ ობიექტური რეალობის გრძნობით, ხატობრივ ანაბეჭდსაც, რომელიც გენერირებულია უშუალო შერგრძნობების, წარმოდგენებისა და განზოგადებული ანარეკლის (სქემების) მეშვეობით.

თანამედროვე ლინგვისტიკა ხასიათდება კონცეპტის არსის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებით. საბედნიეროდ, ამ მრავალფეროვნებაში იკვეთება „საერთო მნიშვნელი“, რომლის ვერბალიზაცია შესაძლებელია შემდეგი სახით: ყველა მიდგომაში აქცენტირებულია კონცეპტში არსებული კულტურული ინფორმაციის მნიშვნელოვნება.

კონცეპტის „ომი“ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი: ომის ფენომენს გააჩნია უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელოვნება. აღნიშნულ ფენომენს ეძღვნება კვლევები ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და პოლიტოლოგიის სფეროებში. რაც შეეხება ომის ფენომენს ლინგვისტიკაში, აქ ანალიზი საკმაოდ ზედაპირულია და შემოიფარგლება მხოლოდ ენობრივ ერთეულთა დესკრიფციით.

კონცეპტთა კვლევა იძლევა ადამიანის მენტალურ სამყაროში შედწევის შესაძლებლობას, ვინაიდან სწორედ კონცეპტი, როგორც ეთნოკულტურულად დეტერმინირებული ერთეული, წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს.

ორი ნიშნობრივი სისტემის - ენა და კულტურის, კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა კულტურულ-ენობრივი კომპეტენციისა და მენტალიტეტის ანალიზი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტურ კვლევათა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლინგვოფილოსოფიური პერსპექტივებიდან კვლევა კონცეპტის ენობრივი

ობიექტივიზაციის თავისებურების გამოვლენის, ენაში საკვლევო კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატა იდენტიფიცირებისა და ორგანიზების გზით.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:

1. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ენობრივ ობიექტივატორთა გამოვლენა და მათი კოგნიტური ინტერპრეტაცია;
2. კონცეპტის „ომი“ ძირითადი, აქტუალური ნიშნის ფენის განსაზღვრა;
3. იმ სივრცის მონიშვნა, რომელშიც ვლინდება ფენომენის ემოციურ-შეფასებითი და მოტივაციური ასპექტები;
4. კონცეპტის „ომი“ მეტაფორული გააზრების თავისებურებათა განსაზღვრა;
5. კონცეპტის „ომი“ დამატებითი ასოციაციური შინაარსის გამოვლენა;
6. გამოვლენილ კოგნიტურ ნიშანთა ორგანიზება ნომინაციური ველების სახით;
7. კონცეპტის „ომი“ ფრეიმული მოდელის კონსტრუირება, რაც გულისხმობს ფრეიმის კვანძების ობიექტივაციას ენობრივი საშუალებებით;
8. „ომის“ სემანტიკური ფრეიმის ელემენტთა შორის კოორდინაციისა და სუბორდინაციის მიმართებათა განსაზღვრა;
9. კონცეპტის სტრუქტურის, დინამიურობისა და ცნებობრივი სივრცის საზღვრების დადგენის მიზნით;
10. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლინგვოფილოსოფიური პერსპექტივებიდან ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: ომის ფენომენის მარავალგანხომილებიანობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ

საკვლევი კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატა გამაერთიანებელი კონსტრუქტის ადეკვატურობა მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქტი აიგება პარადიგმათა სინთეზირების გზით.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ტიპური მეთოდოლოგიური მიდგომა - პლურალისტური მიდგომა, რომელიც უარს ამბობს ფენომენის მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან ხედვაზე და გულისხმობს მის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევას.

ნაშრომში პლურალისტური მიდგომა უზრუნველყოფილია ინტერდისციპლინარიზმით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს კვლევის განხორციელებას სხვადასხვა სააზროვნო სივრცის (ლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის) მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

მეთოდოლოგიურმა ფუნქციამ, რომელიც პასუხისმგებელია კვლევისათვის ვალიდური მეთოდებისა და პრინციპების შერჩევაზე განსაზღვრა პრინციპები.

კვლევისათვის ერთ-ერთ დომინანტურ პრინციპს წარმოადგენს ანთროპოცენტრიზმი, როგორც ენობრივი ფენომენის ანალიზი ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით. ნაშრომში ანთროპოლოგიური პრინციპი გააზრებულია როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელის მიხედვითაც ენა არის შემეცნების სხვადასხვა სფეროთა კონგლომერატი ანალიზის საკუთარი ობიექტებით.

კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია მთლიანობის გეშტალტურობის დეკლარაცია. იმის მტკიცება, რომ მთელი მის შემადგენელ ნაწილზე მეტია, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია მთელის პირველადობის აღიარება, რაც შემდეგს გულისხმობს: მთლიანობა ერთი რიგითი ელემენტი კი არა, მთავარი და „უკანასკნელი მოცემულობაა“. მთლიანობის შემადგენელი ნაწილი (ელემენტი) გამოიყოფა მხოლოდ მთლიანობიდან და მხოლოდ მასში იძენს თავის მნიშვნელობას.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ზოგადმეცნიერული ცნებობრივი მოდელირების მეთოდი, ინტერპრეტაციული და კონტექსტუალური ანალიზი, ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

1. კონცეპტის „ომი“ ფრეიმული მოდელის კონსტრუირება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
2. საკვლევი კონცეპტის ლინგვოკოგნიტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და ლინგვოფილოსოფიურ თავისებურებათა დაზუსტება;
3. კონცეპტის „ომი“ ობიექტივაციის საშუალებათა იდენტიფიცირება თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ და პარემიოლოგიურ სისტემებში.

ნაშრომის თეორიული ღირებულების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება, ერთი მხრივ, ლინგვისტურად ცენტრირებულ ინტერდისციპლინარიზმს, მეორე მხრივ კი, პარადიგმული სინთეზის პრინციპს.

სხვადასხვა პერსპექტივათა კომბინაცია უზრუნველყოფს როგორც ნიშანთა ცალკეული სისტემების, ისე ცალკეული კულტურების სოციალური და ისტორიული მარკერების დისტინქციის შესაძლებლობას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკის, ინგლისური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „ომის“ აღმნიშვნელი ერთეულები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებით

ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში - „კვლევის მეთოდოლოგია“ - განხილულია ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზირების შესაძლებლობები; რთულ სისტემათა კონსტრუირების პრინციპები; სირცეთა ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები.

მეორე თავი - „ფრეიმები და სემანტიკა“ - ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორცაა: კოგნიტური სტრუქტურების თავისებურებები და ფრეიმული ქსელის კონსტრუირების პროცესის სპეციფიკა.

მესამე თავში - „ღირებულებითი ორიენტაციები“ – განხილულია სამყაროს ხატის ღირებულებითი ფრაგმენტის არსი და კონცეპტის აქსიოლოგიური ველის აგების პროცესის თავისებურებები.

მეოთხე თავში - „კონცეპტი „ომი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში“ – განხორციელებულია კონცეპტის „ომი“ ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზს. ანალიზის აღნიშნული ტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან მიზნებისა და ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო მასალის თავისებურებით.

ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტუალური სფეროს ის ნაწილია, რომელიც გამოიხატება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით.

ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ინტერპრადიგმულობის პრინციპს, რაც გულისხმობს კვლევას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანანტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით. იმანენტური მიდგომის ფარგლებში გამოყენებულია ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის დეკომპოზიციის მეთოდი, ხოლო არაიმანანტური მიდგომის ფარგლებში კი განხორციელებულია ელემენტთა რანჟირებაზე დაფუძნებული ანალიზი.

თავი II. ფრეიმები და სემანტიკა

კვლევის ფრეიმული სემანტიკის მიმართულებით წარმართვა მოითხოვს მთლიანობის გემტალტურობის დეკლარაციას. იმის მტკიცება, რომ მთელი მის შემადგენელ ნაწილზე მეტია, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია მთელის პირველადობის აღიარება, რაც შემდეგს გულისხმობს: მთლიანობა ერთი რიგითი ელემენტი კი არა, მთავარი და „უკანასკნელი მოცემულობაა“. მთლიანობის შემადგენელი ნაწილი (ელემენტი) გამოიყოფა მხოლოდ მთლიანობიდან და მხოლოდ მასში იძენს თავის მნიშვნელობას.

ნაწილების გაერთიანებას მთელში განაპირობებს ელემენტთა სიახლოვე, მსგავსება, მიკუთვნებულობა, დახშულობა უწყვეტობა და განლაგება ერთმანეთის მიმართ. ელემენტთა შორის არსებული კავშირები ლოგიკურია. ეს კავშირები გემტალტ-კავშირებია.

თავი III. ღირებულებითი ორიენტაციები

ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული მიმართება ფიქსირდება ცნობიერებაში ცნებების, ხატებისა და ქცევის მოდელების სახით. აღნიშნული მიმართების კვლევა პასუხობს თანამედროვე ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნა კი გულისხმობს

ენობრივი ერთეულის კულტურული ნიშნადობის ექსპლიცირებას ენობრივი ერთეულისა და კულტურული კოდის მიმართების ანალიზის საფუძველზე.

ორი ნიშნობრივი სისტემის - ენა და კულტურის, კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა კულტურულ-ენობრივი კომპეტენციისა და მენტალიტეტის ანალიზი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტურ კვლევათა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

თავი IV. კონცეპტი „ომი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში

ნაშრომში კონცეპტის ობიექტივიზაცია განხორციელებულია ნომინაციური ველების აგების გზით. ნომინაციური ველი თავის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს გამოკვეთს. ველი მიისწრაფვის მისთვის დამახასიათებელი ფორმის პრეგნანტული ანუ გამოკვეთილი, მკვეთრი, ზუსტი ჩამოყალიბებისკენ, სხვა სიტყვებით, ყოველი ველი მიისწრაფვის სრულყოფილი გემტალტისკენ.

ნომინაციური ველი ჭეშმარიტად მთლიანი, გემტალტური ბუნებისაა. ენობრივი ველის მთელი სტრუქტურა, ბირთვიდან პერიფერიამდე, ერთ მთლიან გემტალტურ ველს წარმოადგენს.

ნომინაციური ველი წარმოადგენს მთლიანობას, გემტალტს და არა - „ელემენტთა კონას“. ველის თეორიაში პირველადი მოცემულობა აქვს მთელს და არა მის ნაწილს, სხვა სიტყვებით, პრიორიტეტი ეკუთვნის მთელს და არა მის ნაწილს.

ნომინაციური ველის კანონები ნაწილის კანონები კი არა, მთელის კანონებია. ენობრივი ველის კანონები გემტალტკანონებია. ველის თეორიაში მთლიანი ერთ-ერთი ფენომენი კი არა, ის ფენომენია, რომლიდანაც უნდა იქნეს გამოყვანილი და გააზრებული ყველა სხვა ფენომენი.

დასკვნა

თანამდეროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგ დასკვნათა ფორმულირება:

ომის ნიშანი კონკრეტდება შემდეგი მიმართულებით: „მშვიდობიანი არსებობის დარღვევა მოულოდნელად, უცბად“.

გამოიკვეთა მოდელები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონცეპტის „ომი“ მეტაფორულ რეპრეზენტაციას:

1. „ომი ეკონომიკური ოპერაციაა“ - აღნიშნული მოდელის მნიშვნელობის დომინანტურ კომპონენტს წარმოადგენს მოგებისა და ზარალის - ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორის შედარება;
2. „ომი გზაა“ - აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორისათვის დამახასიათებელია მკაცრი საზღვრების არარსებობა, სინკრეტულობა;
3. პოლიტიკის სფეროს გააზრება ხდება მეტაფორული მოდელის „ომი შეჯიბრია“ მეშვეობით;
4. საკვლევ ენაში ფიქსირდება პოლიტიკური და სპორტული დისკურსის კავშირი. დისკურსის აღნიშნული ტიპების შეხების წერტილს წარმოადგენს მოწინააღმდეგეთა, საომარ მოქმედებათა მონაწილებს შორის შეჯიბრი;
5. საკვლევ ენაში ფიქსირდება შემდეგი მეტაფორული მოდელები: „ომი ჭადრაკის თამაშია“ და „ომი აზართული თამაშია“;
6. მეტაფორული მოდელი „ომი თეატრია“ წარმოდგენილია მეტაფორათა საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარით: ომისათვის მზადება განიხილება სპექტაკლისათვის სცენის მომზადებად, სცენარის დაწერა და როლების განაწილება მსახიობებისათვის. ისევე როგორც ნებისნიერ შოუს, ომსაც ჰყავს თავისი სცენარისტები, დამდგმელები და მაცურებელი, რომელიც თვალს ადევნებს მოვლენათა განვითარებას;
7. მოდელის „ომი ცხოვლეთა სამყაროა“ რეპრეზენტაციისათვის გამოიყენება ზოომორფული მეტაფორები, რომლებშიც იკვეთება

სისასტიკე და აგრესიულობა. შესაბამისად, მოცემულ მოდელში ჭარბობს მტაცებელი ცხოველებისათვის დამახასიათებელი ქცევის აღმნიშვნელი ერთეულები;

8. მოდელის „ომის დასრულება მეზადეობა“ რეპრეზენტაციისათვის გამოიყენება „მცენარეთა სამყაროსათვის“ რელევანტური მეტაფორები;
9. საკვლევ ენაში ფიქსირდება მოდელი - „ომი გაკვეთილია“;
10. საგაზეთო სტატიებში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება მოდელები: „ომი სასჯელია ჩედენილი დანაშაულისათვის“, „ომი ნგრევა“, „ომი სტიქიური უბედურება“.

კონცეპტის „ომი“ შინაარსი მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: კონცეპტის საენობრივ-ხატობრივი მხარე - ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი მხარეები და კონცეპტის ცნებობრივი მხარე - ომისა და საომარ მოქმედებებში მონაწილეთა ქცევის აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულთა მახასიათებლები, კონცეპტის ღირებულებითი მხარე - საზოგადოებაში აღიარებული ქცევის ექსპლიციტური და იმპლიციტური ნორმები.

კონცეპტი „ომი“ ქმნის კონცეპტთა ქელს, რომელშიც იკვეთება შემდეგი ასოციაციური განზომილებები: წინააღმდეგობა, შეტაკება, შეიარაღებული ბრძოლა როგორც უთანხმოების მოგვარების საშუალება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობა.

საკვლევ კონცეპტს შეესაბამება საკმაოდ რთული და მრავალდონიანი ფრეიმი. ფრეიმი წარმოდგენილია ომთან ასოცირებული ცნებებით: კონფლიქტი, ბრძოლა, წინააღმდეგობა, საომარი მოქმედებები, ომი და მისი სახეობები, ომში მონაწილე ადამიანთა ურთიერთობები, ომის შედეგები.

კონცეპტის „ომი“ სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც ეფუძნება მონაცემთა ერთობლიობას - კონსტრუქტი შედგება არა ცალკეული ფრაგმენტებისაგან, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული სტრუქტურებისაგან.

კონსტრუქტი წარმოდგენს დამოკიდებულებათა სასრულ (მონაცემთა აუცილებელ და საკმარის - დასაშვებ სიმრავლეს) ერთობლიობას - კონსტრუქტში იკვეთება მონაცემთა გარკვეული ტრანექტორია, მდგომარეობებს შორის კავშირები, რომლებიც განსაზღვრულია მთლიანობის დინამიკური შეზღუდვებით.

კონსტრუქტის ფრაგმენტები ასახავენ ქმედებას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და თვალსაზრისთა ცვლილებებს.

კონსტრუქტის ფრაგმენტებს შორის ფიქსირდება დროითი, სივრცითი, სიტუაციური, ასოციაციური და ფუნქციონალური ტიპის კავშირი. ფრაგმენტთა ვალიდურობის კრიტერიუმს წარმოადგენს მათი კოგნიტური ადეკვატურობა, რაც დაკავშირებულია კონსტრუქტისათვის ლოგიკური სტატიკური და დინამიკური შეზღუდვების განსაზღვრასთან.

კონსტრუქტში ინტეგრირებულ ცნებათა შორის არსებული მიმართებები გარე სამყაროს პრაგმატიკთაა აღბეჭდილი.

საკვლევი კონცეპტის რეალიზებისას იკვეთება ობიექტივატორთა მრავალფეროვნება და კონცეპტის მნიშვნელოვნება სამყაროს ენობრივ ხატში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ლინგვოკულტურული კონცეპტი „ომი“ და XX საუკუნის შეიარაღებული კონფლიქტები (ამარიკის შეერთებული შტატების მაგალითზე). საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი “Scripta manent”, N 4 (44), 2019.
2. კონცეპტი „ომი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი “Scripta manent”, N 4 (44), 2019.

The University of Georgia

The School of Arts and Humanities

Philology

Manuscript Copyright Protected

Nino Gharibashvili

The Concept of “War” in Modern English

Synopsis

of the thesis submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of
Philosophy (PhD) in Philology

232.1.3

Tbilisi

2020

The doctoral dissertation has been written at the School of Arts and humanities, The University of Georgia.

Academic Supervisor:

Maia Chkheidze,
Doctor of Philological science,
Professor

Official Reviewers:

Madona Shelia,
Doctor of Philological science,
Assc. Professor

Natela Mosiashvili,
Doctor of Philology

The defense of the dissertation will on be held on June 25, 2020, at 18:00 p.m.

Venue: The University of Georgia, Room #519, Building IV, 77a, Kostava str, 0165, Tbilisi, Georgia.

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia/

The synopsis was sent on May, 2020.

Secretary of the Dissertation Board: **Natia Manjikashvili**

Introduction

World view comprises not only the conceptual (logical) imprint of the objective reality depicted through language, but also the sensual, iconic imprint of the objective reality generated by direct sensations, representations and generalized images (image schemas).

Modern linguistics is characterized by a variety of interpretations of the essence of the concept. Fortunately, this diversity outlines a "common denominator" that can be verbalized as follows: all the approaches emphasize the importance of cultural information integrated in the concept.

The relevance of the linguo-culturological research for the concept of "*war*" is defined by the fact that the phenomenon of war has the greatest socio-political significance. A variety of researches conducted in the fields of philosophy, sociology, psychology, history and political science is devoted to the mentioned phenomenon. As for the phenomenon of war in linguistics, the analysis here is rather superficial and confined to the description of the linguistic units only.

The study of concepts provides the opportunity to penetrate into the conceptual world of a human being since the concept as an ethnoculturally determined unit is the basis of conceptualization of the world by the human.

Within the two considerable systems - language and culture, the analysis of cultural-linguistic competence and mentality of the bearers of a particular language and culture is one of the priority areas of modern linguistic researches.

The present paper aims at exploring the concept of "*war*" in modern English from the linguo-cognitive, linguo-cultural and linguo-philosophical perspectives by both demonstrating the features of the linguistic objectification of the concept and identifying and organizing the lingual representants of the concept in the language.

Achieving the stated goal requires the implementation of the phases of the research process such as:

1. Identifying the lingual objectivators of the concept of "*war*" in modern English and making their cognitive interpretation;
2. Defining a set of basic actual features for the concept of "*war*";

3. Marking the space that demonstrates the emotional-evaluative and motivational aspects of the phenomenon;
4. Defining the peculiarities of metaphorical interpretation for the concept of "war";
5. Demonstrating additional associative content for the concept of "war";
6. Organizing the identified cognitive features in the form of nominative fields;
7. Constructing the frame model for the concept of "war" that involves the objectification of frame nodes by lingual means;
8. Identifying the coordination and subordination relations between the elements of the semantic frame of "war";
9. Identifying the structure and dynamics of the concept as well as the boundaries of the conceptual space;
10. Drawing specific theoretical conclusions by analyzing the linguo-cognitive, linguo-cultural and linguo-philosophical perspectives of the concept of "war" in modern English.

The hypothesis of the research paper sounds like this: considering multidimensionality of the phenomenon of war, it is likely that the adequacy of the construct unifying the lingual representants of the concept can be attained only if the construct is built up by synthesizing the paradigms.

The basis of the research methodology is a typical methodological approach to the humanities - a pluralistic approach that rejects to view the phenomenon from a single perspective only and involves the research from different perspectives.

In the paper, the pluralistic approach is provided by interdisciplinarity, which in a specific case involves conducting a research by analyzing the data of different thinking spaces (linguistics, culturology and philosophy).

The methodological function responsible for selecting the valid research methods and principles has defined the fundamentals.

One of the dominant principles for the research is anthropocentrism as an analysis of the linguistic phenomenon considering the human factor. In the paper the anthropological principle is understood as a methodological basis, according to which

language is a conglomerate of various fields of cognition with its own objects of analysis.

Another important thing for the research is the declaration of gestalt-based integrity. Claiming that the whole is greater than its part is not enough. To transform the orientation of elementality it is necessary to acknowledge the primacy of the whole that means that the integrity is not just a single element, but the main and "ultimate phenomenon". A component part (element) of the integrity is separated only from the whole and acquires its meaning within it solely.

The research process uses scientific conceptual modeling technique, interpretive and contextual analysis as well as the methods developed within the framework of immanent and non-immanent approaches to the language.

The scientific novelty of the paper is to:

1. Construct the frame model for the concept of "*war*" in modern English;
2. Specify the linguo-cognitive, linguo-cultural and linguo-philosophical features of the research concept;
3. Identify the means of objectification for the concept of "*war*" in the lexical, phraseological and paroemiological systems of modern English.

The most important component of the theoretical significance of the paper is the methodology of interdisciplinary research that is based on the linguistically centered interdisciplinarity, on the one hand, and the principle of paradigmatic synthesis, on the other hand.

The combination of different perspectives enables to identify the distinction between the separate systems of signs and social and historical markers of particular cultures.

The practical significance of the paper is determined by the following fact: the material obtained and the research findings are valid for the courses of cognitive linguistics and linguo-cultural studies as well as of structural linguistics, English stylistics and lexicology.

The units denoting "*war*" in modern English are used as research material. The material is obtained based on the data analysis of explanatory dictionaries, samples of fiction, and the Frame Net of Berkeley.

The structure of the paper consists of introduction, chapters, sections, conclusions and bibliography.

The introduction substantiates the relevance and scientific novelty of the research topic. It defines the goal of the research, the missions necessary for achieving this goal and stages of the research process as well as the theoretical and practical significance of the paper and the research methodology.

Chapter One - Research Methodology - discusses the possibilities of synthesizing conceptual and semantic types of analysis, principles of constructing complex systems as well as the integral and differential features of the spaces.

Chapter Two – Frames and Semantics - deals with the issues such as the features of cognitive structures and the specifics of the construction process of the frame network.

Chapter Three –Valuable Orientations – discusses the essence of the valuable fragment of the picture of the world and the peculiarities of the construction process of the axiological field of the concept.

Chapter Four - The Concept of “*War*” in Modern English – deals with the linguo-cognitive and linguo-cultural research of the concept of “*war*” in modern English.

The conclusion section summarizes and generalizes the research findings.

Chapter One. Research Methodology

The research is based upon a synthesis of conceptual and semantic types of analysis. These types of analysis differ from each other in terms of purpose and specifics of the material necessary for conducting the analysis.

The semantic space of the language is a part of the conceptual domain that is expressed through linguistic signs and meanings.

The relations between the elements of the semantic space of the language reflect the relations between the concepts in the conceptual field.

The research methodology is based on the principle of interparadigmacy that involves the research by synthesizing the methods developed within both the immanent and non-immanent approaches to the language. In the immanent approach, the decomposition method of the semantic structure of elements is used, while the analysis based on the ranking of elements is conducted within the non-immanent approach.

Chapter Two – Frames and Semantics

Conducting the research in frame semantics involves a declaration of the gestalt-based integrity. Claiming that the whole is greater than its part is not enough. To transform an orientation of elementality it is necessary to acknowledge the primacy of the whole that means that the integrity is not just a single element, but the main and "ultimate given". A component part (element) of the integrity is separated only from the whole and acquires its meaning within it solely.

Bringing together all the elements into the whole is conditioned by the proximity, similarity, affiliation, closed position, continuity and arrangement of the elements. The relations between the elements are logical. These relations are gestalt-relations.

Chapter Three. Valuable Orientations

The relation between the human being and the world is found in consciousness in the form of concepts, images and models of behavior. The research conducted in the aforementioned direction responds to the demands of modern linguistics and culturology. This requirement implies necessity to make explicit the cultural determinacy of the lingual unit on the basis of analyzing the relations between the linguistic unit and cultural code.

Within the two considerable systems - language and culture, the analysis of cultural-linguistic competence and mentality of the bearers of a particular language and culture is one of the priority areas of modern linguistic researches.

Chapter Four - The Concept of “*War*” in Modern English

In the paper the conceptual objectification is implemented by constructing the nominative fields. The nominative field outlines its structural characteristics. The field strives to shape a pregnant, sharp and clear form typical of it - in other words, each field strives for the perfect gestalt.

The nominative field is truly the whole, with gestalt nature. The whole structure of the linguistic field, from the core to the periphery, represents the whole gestalt field.

The nominative field represents the whole, the gestalt and not a "set of elements". In the field theory primacy is given to the whole and not to its part - in other words, priority belongs to the whole, not to its part.

The principles of the nominative field are the rules of the whole, not of the part. The principles of the linguistic field are gestalt laws. In the field theory the whole is not one of the phenomena but the phenomenon from which all the other phenomena must be deduced and understood.

Conclusion

The following conclusions can be formulated by analyzing the concept of "war" in modern English:

War is defined as "sudden, unexpected violation of peaceful life".

Models that underlie the metaphorical interpretation of the concept of "war" have been identified:

1. "War is an economic operation" - the dominant component of the significance of this model is the comparison of two contradictory factors - profit and loss;
2. "War is the course" - the aforementioned conceptual metaphor is characterized by the absence of strict boundaries, syncretism;
3. The realm of politics is understood through the metaphorical model "War is a competition";
4. In a language under study, there is a connection between political and sports discourse. The point of contact of these types of discourse is the competition between the opponents and participants of combat operations;
5. The following metaphorical models are found in the language under study: "War is a game of chess" and "War is a gambling";
6. The metaphorical model "War is a theater" is represented by a rather diverse repertory of metaphors: preparing for the war is considered as preparation of the stage for the play, writing a script and distributing the roles to the actors. Like any show, the war has its own screenwriters, directors, and the audience watching the developments;
7. Zoomorphic metaphors are used to represent the model "War is the world of animals", showing brutality and aggression. Accordingly, in this model, the units denoting the behavioral characteristics of predators are predominant;

8. Relevant metaphors for the "world of plants" are used to represent the model "The end of the war is the gardening";
9. The model "War is a lesson" is found in the language under study;
10. The newspaper articles often feature the models such as "War is a punishment for the crime committed", "War is destruction", and "War is a natural disaster".

The essence of the concept of "*war*" encompasses the features such as: subjective- iconic aspect of the concept - hostile parties; conceptual aspect of the concept - characteristics of the linguistic units denoting the behavior of those involved in war and hostilities; and valuable aspect of the concept - explicit and implicit norms of socially acceptable behavior.

The concept of "*war*" forms a network of concepts that expresses the following associative dimensions: resistance, clash, and armed struggle as a means of resolving the disagreement in cases where there is no possibility to peacefully deal with this disagreement.

A rather complex and multilevel frame corresponds to the research concept. The frame is presented by the concepts associated with war: conflict, struggle, resistance, hostilities, war and its types, the relationships of people involved in war, and the effects of war.

The semantic frame of the concept of "*war*" represents the structure of knowledge representation and the conceptual model of human memory organization that is based on the data set – the construct is made of not separate fragments but of the interconnected structures.

The construct is a finite set of relations (necessary and sufficient set of data that is acceptable) – the construct outlines a certain trajectory of data and the relations between the conditions that are defined by the dynamic constraints of integrity.

Fragments of the construct reflect the action, cause-effect relationships, and the change of viewpoints.

Temporal, spatial, situational, associative, and functional types of relations are identified in the fragments of the construct. The criterion validity of the fragments is their cognitive adequacy that is related to the determination of logical, static and dynamic constraints for the construct.

The relations between the concepts embedded in the construct are depicted by pragmatics of the outside world.

The realization of the research concept manifests the diversity of the objectivators and the importance of the concept in the lingual worldview.

List of Publications:

1. The linguo-cultural concept of "war" and the armed conflicts of the twentieth century (on the example of the United States). International peer-reviewed multilingual scientific journal "Scripta manent", N 4 (44), 2019.
2. The concept of "war" in modern English. International peer-reviewed multilingual scientific journal "Scripta manent", N 4 (44), 2019.